ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ დ-1/ე 264-16

"07" 03 2016 წ.

დადგენილება №000358
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

07.03.2016წ. ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7

მე, სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ მამუკა ჯაყელმა განვიხილე 2016 წლის 04 მარტის №000358 შემოწმების აქტი "სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ", შედგენილი შ.პ.ს. "ჯ.დ.კ."-ს (საიდენტიფიკაციო კოდი №206035057, დირ. მერაბ დავითიძე (პირადი №01027006928), მის: ქ. თბილისი, მოსკოვის გამზ. №25ა) მიმართ საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, მეველეს ქ. №23-ის მიმდებარედ (ნაკვეთი №16/012), მეველეს ქ. №23-ში (საკ. კოდი №01.17.12.016.023) შ.პ.ს. "ჯ.დ.კ."-ს მიერ განხორციელდა ღია ბაზრის მშენებლობა ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის №1766466 AR1282648 06.03.2014წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: „8^{1}-1^{1}" ფასადზე: 7-1^{1} მონაკვეთში გაუქმებულია ვიტრაჟები. 8^{1}-8^{1} ღერძთან მოწყობილია წყალშემკრები მილი. „ა-$ე^{1}$" ფასადზე: ა-გ მონაკვეთში გაუქმებულია ვიტრაჟი. შეცვლილია შენობის კონფიგურაცია, გაბარიტები და ფართი. შეცვლილია ლითონის სვეტების რაოდენობა, გაბარიტები და მონაცვლებული აქვთ ადგილი. შეცვლილია გადახურვის კონფიგურაცია და გაუქმებულია ფერმები. 2-8 და დ-ბ მონაკვეთებში არ არის მოწყობილი კედელი. არსებულ კედელთან 2-8 მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ლითონის კონსტრუქციები. შეცვლილია გოფრირებული თუნუქის ფერი. კონსტრუქციული ელემენტები არ შეესაბამება საპროექტოს. შენობის წინ მოწყობილია ბაქანი, სადაც მოწყობილია ლითონის სვეტები. დარღვეულია შენობის არქიტექტურული იერსახე.

2016 წლის 04 მარტს საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 23-ე ნაწილის "ზ" პუნქტის საფუძველზე, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000358 "სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ." საქმეშია, მხარის №49713/07 12.02.2016წ. განცხადება; ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შ.პ.ს. "ჯ.დ.კ."-ს მიერ ნაწარმოებია საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.ა." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, მუხლის ქ. №23-ის მიმდებარედ (ნაკვეთი №16/012), მუხლის ქ. №23-ში (საკ. კოდი №01.17.12.016.023) შ.პ.ს. "ჯ.დ.კ."-ს მიერ განხორციელდა ღია ბაზრის მშენებლობა ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის №1766466 AR1282648 06.03.2014წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით

ვხელმძღვანელობ რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის "ა" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.ა." ქვეპუნქტით

დავადგინე:

1. შ.პ.ს. "ჯ.დ.კ." დაჯარიმდეს 2.000 (ორიათასი) ლარით პროექტის დარღვევით II კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2. შ.პ.ს. "ჯ.დ.კ."-ს დაევალოს, საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ნაბარებიდან 30 დღეში;

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: **TRESGE22**, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: **300773263**, გადახდის დანიშნულება: დადგენილების ნომერი საშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. "ჯ.დ.კ."-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილების აღსრულების შესახებ", ხოლო საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ნაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განისაზღვრება საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების ადმინისტრაციულობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /გაგზავნებიდან) 15 დღის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის
პირველი მოადგილე ბ. ჯაფარიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 3-221519/12

"13" 07. 2016 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი-ისანი, მეველეს ქუჩა №23, მიმდებარედ (ნაკვეთი 16/012)/მეველეს ქუჩა №23-ში (საკ. კოდი №01.17.12.016.023) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (შემინული ბაზარი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №2628514 01.06.2016წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი-ისანი, მეველეს ქუჩა №23, მიმდებარედ (ნაკვეთი 16/012)/მეველეს ქუჩა №23-ში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

შენობაში ნაწილობრივ შეცვლილია ლითონის სვეტების მდებარეობა და დამატებით მოწყობილია ლითონის კონსტრუქციული ელემენტები. „5-4“ მონაკვეთში შეცვლილია შენობის გაბარიტები. არსებულ კედელთან „2-8“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ლითონის კონსტრუქციები. „ა-ე“ ფასადზე შეცვლილია ვიტრაჟის გაბარიტები და ნახატი. „დ-ბ“ ფასადზე შეცვლილია ჯოფრირებული თუნუქის გაბარიტები. შენობის გარეთ ბაქანზე მოწყობილ ლითონის სვეტებს მონაცვლებული აქვთ ადგილი.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „ჯდკ"-ს, ქ. თბილისში, სექტორი-ისანი, მეველეს ქუჩა №23, მიმდებარედ (ნაკვეთი 16/012)/მეველეს ქუჩა №23-ში (საკ. კოდი №01.17.12.016.023) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (შემინული ბაზარი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №221519/12 22.06.2016წ. განცხადება.

სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე

საგადახდო დავალება No 0383

Transfer Order No 0383

იგჩძენი მოშავაღი საქართველოს ბანკი CORPORATE

ვალუტირების თარიღი/Value Date: 23/03/2016 რეფერენსი/reference: 4297729797

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

გადამხდელის დასახელება/Originator	ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit)	თანხა/Amount
შპს "ჯდკ"	GE45BG0000000297906400GEL	2 000.00 GEL
გადამხდელის ბანკი/Originator Bank	ბანკის კოდი/Bank Code	თანხა სიტყვებით/Amount in words
სს "საქართველოს ბანკი"	BAGAGE22	ორი ათასი ლარი 00 თეთრი
გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name	საიდენტიფიკაციო კოდი/Number Taxpayer	
შპს "ჯდკ"	206035057	
მიმღების დასახელება/Recipient	ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code	ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank
თვითმმართველი ქალაქი თბილისი-შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-	300773263	
მიმღების ბანკი/Recipient Bank	ბანკის კოდი/Bank Code	გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank
სახელმწიფო ხაზინა	TRESGE22	23/03/2016

გადახდის დანიშნულება/Description

დადგენილება#000358 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე 07.03.2016წ

ხელმოწერა/Signature

დამატებითი ინფორმაცია/Additional Info

შტამპი

"ს.ს. საქართველოს ბანკი"
J.S.C. "BANK OF GEORGIA"
დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან
PRINTED FROM INTERNET BANK

ხელმძღვანელის ხელმოწერა/Director Signature: ბეჭედი: